პროლეტარიელებო, ერთიანდეთ!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 21 ივლისი, 1945 წ. № 143 (7358). ფასი 20 კაპ.

10 წლის წინათ თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ეს ბრწყინვალე ისტორიული დოკუმენტი, რომელიც უძვირფასესად ინძახ ნარმოდგენს ბოლშევიზმის „პატარა ენციკლოპედიას“, ბახდა მთელი ჩვენი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობის მძლავრ სტიმულად.

ამ დოკუმენტზე გაიზარდნენ და იზრდებიან ჩვენი კადრები. იმაღლებენ თავიანთ თეორიულ-დონეს, ეუფლებიან მუშაობისა და ხელმძღვანელობის ლენინურ-სტალინურ სტილს.

კიდევ უფრო გაუმჯობესებულ მუშაობა ამხანაგ ბერიას მოხსენების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის, რათა ნარმატებით შეეასრულოთ დიდი სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ისტორიული ამოცანები!

ბრძანებაულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 112 ქარხნის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

წოდელი არმიის ტანკებთა და სათმარი მასალით უზრუნველყოფის დარგში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნას სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 112 ქარხანა **სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წ. 18 ივლისი.

21 ივლისს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს.-ენგელს.-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შესდგება ამხანაგ **ლ. პ. ბერიას მოხსენების — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“—ათი წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა.**

სხდომის დღის წესრიგი:

1) შესავალი სიტყვა—ალ. პ. ბერიას შრომა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საბრძოლო იარაღია“—პ. ა. შარია (რუსულ ენაზე).

2) „ალ. პ. ბერიას შრომა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ და საქართველოს ისტორიული მეცნიერება“ — მომხსენებელი დოცენტი ა. კიკვიძე (ქართულ ენაზე).

3) „რევოლუციური მარქსიზმის ჩახახვა და განვითარება საქართველოში“—მომხსენებელი დოცენტი ლ. გორგილაძე (ქართულ ენაზე).

4) „ი. ბ. სტალინი—1905 წლის რევოლუციის ორგანიზატორი საქართველოს და ამიერკავკასიაში“—მომხსენებელი დოცენტი ი. მელქაძე.

5) „პოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა ი. ბ. სტალინის შრომაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“—მომხსენებელი დოცენტი ა. ჭეთლი«, (რუსულ ენაზე).

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის № 112 ქარხანა

ქარხნის დირექტორს ამხ. რუბინრიას
მთავარ ინჟინერს ამხ. კუზმინს
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგს ამხ. სოროვს
ქარხანის თავმჯდომარეს ამხ. კლეხანოვს
საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის კომორგს ამხ. ბუკინს

გილოცავთ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებსა და მოსამსახურეებს ქარხნის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოებას.

თქვენი თავდადებული შრომა ტანკებისა და სხვა თავდაცვითი პროდუქციის მასობრივი გამოშვების მოსაწყობად დაეხმარა ჩვენს მამაც წითელ არმიას მტერული გერმანიის განადგურებაში.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ტანკებისა და სხვა პროდუქციის გამოშვებაში ჩვენი ქვეყნის თავდაცვის კიდევ უფრო განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის.

ი. სტალინი

კადრების იდეური გამოწრთობის მძლავრი იარაღი

ათი წლის წინათ 1935 წლის 21-22 ივლისს ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თბილისის პარტიული აქტივის საქალაქო კრებაზე გააკეთა მოხსენება—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ეს იყო უდიდესი მოვლენა არა მხოლოდ საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების იდეურ ცხოვრებაში. ეს უდიდესი მოვლენა იყო მთელი ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის იდეურ ცხოვრებაშიც.

ეს იყო ამხანაგ სტალინის მიერ ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის“ რედაქციისადმი 1931 წელს მიწერილ წერილში დაყენებული ამოცანის — ბოლშევიკური პარტიის ისტორიის შესწავლისა და გაშუქების მეცნიერულ სიმაღლეზე აყვანის, ამოცანის — განხორციელების ბრწყინვალე ნიმუში.

ამხანაგ ბერიას მოხსენება დაიბეჭდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე და ჩვენი პრესის სხვა ორგანოებში, მრავალჯერ ასეულ ათასობით ტირაჟით გამოიცა ცალკე წიგნად სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, გახდა შრომელთა მილიონების კუთვნილებად.

დიდია ამხანაგ ბერიას წიგნის მნიშვნელობა.

უწინარეს ყოვლისა ამ ნაშრომის მნიშვნელობა ის არის, რომ მან სწორად, მეცნიერულად გააშუქა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უერთგულესი რაზმის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია, ახალი შუქი მოაფინა ჩვენი პარტიის ბრძოლისა და განვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპს, გამოამეღავნა ისტორიის ფალსიფიკატორები, ბოლო მოუღო თვითნებობას, დამახინჯებას და არევ-დარევას ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორიის გადმოცემაში.

მეორე, — ამ ნაშრომის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი განაზოგადებს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების უმდიდრეს ისტორიულ გამოცდილებას ახალი ტიპის პარტიის შშენებლობაში, რაც ათეული წლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, გვაცნობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლის გამოცდილებას, საიდანაც გამოვიდა დიდი ლენინის ყველაზე უიანლესი თანამებრძოლი — დიდი სტალინი.

მესამე, — ამ ნაშრომის მნიშვნელობა ის არის, რომ მასში მოცემულია დიდი სტალინის ახალგაზრდობის პერიოდის, მეცნიერული ბიოგრაფია და ამით ამოვსებულია ხარვეზი ბოლშევიზმის ისტორიაში, რადგან პარტიის ისტორიის სწორი ცოდნა და გადმოცემა ისევე შეუძლებელია სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის გარეშე, როგორც შეუძლებელია ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის გარეშე.

მეოთხე, — ამ ნაშრომის მნიშვნელობა ის არის, რომ მან შესაძლებლობა მოგვცა გავეცნობოდით დიდი სტალინის ადრინდელ, ბრწყინვალე თეორიულ ნაწარმოებებს, რომლებიც ანვითარებენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, გზას უნათებდნენ და უნათობენ პარტიას შრომისა და ბრძოლისათვის.

მეხუთე, — ამ ნაშრომის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი გვიხსნის ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის გამარჯვებათა მიზეზებს, გვიჩვენებს რატომ არის მძლავრი და უძლეველი ლენინ-სტალინის დიადი პარტიარომელსაც წინ მიეძღვის დიდი სტალინი.

ამხანაგ ბერიას ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ კადრების იდეური გამოწრთობის მძლავრი იარაღია. მას დაეუფლომლად სწავლობდნენ და სწავლობენ ძველი და ახალგაზრდა კადრები, კომუნისტები და კომკავშირელები, მთელი აქტივი, სწავლობენ დამოუკიდებლად, სპეციალურ წრეებში. პარტიული ორგანიზაციები მათ დასახმარებლად ატარებდნენ და ატარებენ ლექციებსა და მოხსენებებს, სემინარებსა და კონსულტაციებს.

ამხანაგ ბერიას ნაშრომი გამოვიდა სამი წლით ადრე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის გამოსვლამდე. მან დაუწყალა მისცა იდეურ-პოლიტიკურ-მუშაობის მძლავრ აღმავლობას. ჯერ ერთი, — გამლიერდა ბოლშევიზმის ისტორიის, პროპაგანდა, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, მეცნიერული და ზეპირი. ჩვენმა გაზეთებმა და ჟურნალებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა ხელი მოჰკიდეს ამხანაგ ბერიას ნაშრომში წამოყენებული საკითხების დაწერილებითს შესწავლას და მეტოდური მასალები დააგროვეს დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხებზე. პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ყურადღება ბოლშევიზმის ისტორიის საკითხების შესწავლისადმი და ამით გააუმჯობესეს კადრების იდეური აღზრდა. მეორეს, — ამხანაგ ბერიას ნაშრომმა მძლავრი სტიმული მისცა შემოქმედებითი ფრონტის მუშაკებს — ჩვენს მწერლებს, დრამატურგებს, მხატვრებს, შთაგონა მათ შეეძლოთ დიდი ამაღლებული ტალღები ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის თემებზე, ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლების ალ. ცეცხოვლისა და ა. წულეკიძის მოღვაწეობის თემებზე. და მათ კიდევ შეაქმნეს მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებმაც გააღიდრეს ჩვენი ლიტერატურა, დრამატურგია, მხატვრობა. პარტიის ისტორიის თემებზე მუშაობის პროცესში ჩვენი მწერლები და მხატვრები თვითონ იმაღლებდნენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს. უფრო ღრმად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო ჩვენი კადრების იდეურ გამოწრთობას. დიდი იატრიოტული გამოცდის წინ — სამამული ომის წინ. და თუ ჩვენმა კადრებმა შესანიშნავად ჩაბარეს დიდი სამამული ომის მძიმე და ძნელი გამოცდა, ამაში დიდია წვლილი ამხანაგ ბერიას ნაშრომისა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ახლა, როცა დიდი სამამული ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა, კადრების იდეურ-პოლიტიკური გამოწრთობის მნიშვნელობა კი არ შეკლებულა, არამედ უფრო გაიზარდა. ახალი ვითარება, ახალი ამოცანები უფრო გაღრმავებულ მუშაობას მოითხოვენ კომუნისტების და პირველ რიგში ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიიდან შეიარაღებისათვის. მაშასადამე, კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი პარტიის ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი სახელმძღვანელოა —ამხანაგ ბერიას ნაშრომის, მნიშვნელობაც. ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად მოაწყოს ამხანაგ ბერიას ნაშრომის შესწავლა, აღზარდოს ჩვენი კადრები იმ დიადი იდეების საფუძველზე, რომელსაც ეს ნაშრომი შეიცავს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, სტალინურად აღზრდილნი დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უფრო მაღალ ეაფეხურზე აიყვანონ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, გაჭოაწრთონ კადრები სოციალიზმის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მხურვალე სალამი დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, ქართველი ხალხია სამაყო შვილს, ჩვენს ძასწავლებელს და ალმზრდელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს კაცობრიობის უდიდეს გენიას, სწორედ ეთვარ მხედართმთავარს და ბელადს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს დიდ სტალინს!

სირიის რესპუბლიკის საგანგებო დესპანთა და სრულუფლებიანთა მინისტრმა ბ-ნმა ფაიზ ელ-ხურიმ რწმუნებების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. ი. კალინინს

18 ივლისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა მიიღო სირიის რესპუბლიკის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ფაიზ ელ-ხური, რომელმაც ძს თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მოლოგოლე ს. ი. ქავთარაძე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახალ ელმოსაველეთის განყოფილების გამგე ი. ვ. სამოლოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე გ. ი. ფომინი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ მ. ი. კალინინი ესაუბრა ბ-ნ ფაიზ ელ-ხურის.

ამხ. ლავრენტი ბერიას წიგნი საბჭოთა ხალხის სამამულო ომში

ახლა, როცა დიდმა ბრძოლებმა გადაიქუხეს და გამარჯვების ბრწყინვალე მზე თავს დაჰნათის საბჭოთა ქვეყანას, ჩვენ ვფიქრობთ ჩვენი ძლევამოსილებისა და დიდების ბურჯებზე და ვხედავთ, რომ საბჭოთა ხალხის შეიარაღებაში ამხ. ლავრენტი ბერიას ნაშრომს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ათი წელია, რაც ეს შესანიშნავი წიგნი ცხოვრობს, — მათგან ოთხი წელი ომის პერიოდზე მოდის, — და ათი წლის სიგრძეზე იგი ზრდის თავისი მკითხველების მრავალათასოვან რაზმებში რწმენას, ნდობასა და სიყვარულს ლენინ-სტალინის გმირული პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი, ნერგავს სიძულვილს პარტიისა და ხალხის მტრებისადმი. მარქსიზმის ოქროს ფონდში შესული ეს წიგნი, ღრმა ისტორიული შემეცნების გზით აწრთობს საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესსა და უმაღლეს გრძნობას, იმ გრძნობას, რომელიც ამოძრავებდა მილიონებს მსოფლიო ისტორიის ყველაზე პასუხსაგებ მომენტში, როცა ისინი, თავისი გენიოსი ბელადისა და მთავარსარდლის გენერალისიმუს ი. სტალინის ხელმძღვანელობით, ამსხვრევდნენ კაცობრიობის უბოროტესი მტრის ფაშისტური გერმანიის ციხე-სიმაგრეს.

წიგნის შექმნის ათი წლისთავზე ქართველი ინტელიგენცია მხურვალედ მიესალმება მის ავტორს—დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, გამოჩენილ საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწესა და მეცნიერს, საბჭოთა მეცნიერების მზრუნველსა და მეგობარს, მარშალ ლ. ბერიას.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია

ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" მეექვსე გამოცემა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა გამოსცა ამხანაგ ლ. პ. ბერიას ისტორიული მოხსენება თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე 1935 წლის 21-22 ივლისს—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". ეს მეექვსე გამოცემა ილუსტრირებულია ახალი მასალებითა და დოკუმენტებით. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული წარსულიდან კერძოდ, ამ გამოცემაში პირველად არის მოთავსებული ი. ბ. სტალინის ხელით შედგენილი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" რამდენიმე ნომრის გეგმა, № 12 „პროლეტარიატის ბრძოლის" მოწინავე წერილი—„რეაქცია ძლიერდება" და სხვა ძვირფასი მასალები.



კონსულტაცია

რევოლუციური მარქსიზმის ჩასახვა და განვითარება საქართველოში

ამხანაგ ლავრენტი ბერიას შრომამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" ღრმად, მარქსისტულ-ლენინურად გააშუქა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ძირითადი საკითხები. ამ შრომამ დაგვიხატა იმის შესანიშნავი სურათი, თუ როგორ ჩაისახა, წარმოიშვა და განმტკიცდა ი. ბ. სტალინის მეთაურობით ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაცია—ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია.

ამხანაგმა ლ. ბერიამ პირველმა სწორად გააშუქა ამიერკავკასიაში მარქსიზმის გავრცელების საკითხი. „მარქსიზმის პირველი თესლი,—სთქვა ამხანაგმა ლ. ბერიამ,—შემოტანილ იქნა ამიერკავკასიაში 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ერთი მხრივ, მეფის მთავრობის მიერ რუსეთის ცენტრალურ რაიონებიდან გადმოსახლებულ რუს სოციალ-დემოკრატების მიერ (იოსებ კოგანი, ივანე ლუზინი, გ. ფრანჩესკი და სხვ.) და მეორე მხრივ, საზღვარგარეთ ნამყოფ ქართველ ლეგალურ მარქსისტების მიერ (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და სხვ.)".

რუს მარქსისტთა ჯგუფმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს რევოლუციურ ახალგაზრდობაზე, ჩაუნერგა მას სიყვარული არალეგალური მარქსისტული ლიტერატურისადმი. მათი გავლენით გაეცნო ჭაბუკი სტალინი არალეგალურ მარქსისტულ ლიტერატურას.

„რევოლუციურ მოძრაობაში, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—მე ჩავები 15 წლის ასაკიდან, როცა დავუკავშირდი მაშინ ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუს მარქსისტების არალეგალურ ჯგუფებს. ამ ჯგუფებმა დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე და შემაყვარეს არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა".

ამხანაგი ლ. ბერია გვასწავლის, რომ პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში იყო „მესამე დასი", რომლის ჩასახვა და ჩამოყალიბება 90-იანი წლების პირველ ნახევარში მოხდა. „მესამე დასის" ისტორიაში მნიშვნელოვან თარიღს წარმოადგენს ე. ნინოშვილის დაკრძალვის დღე—1894 წლის 12 მაისი. ამ დღეს, გურიაში, სოფელ ჩოჩხათში, მოხდა ახალი თაობის—მარქსისტული ახალგაზრდობის პირველი საჯარო-საპროგრამო გამოსვლა. მათ ჩამოაყალიბეს „მესამე დასის" სამოქმედო პროგრამა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სილ. ჯიბლაძის სიტყვა. მან მკაცრად გააკრიტიკა ქართველი ინტელიგენციის ფეოდალურ-თავადაზნაურული და ნაროდნიკული მიმდინარეობანი, ნათელყო ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ეკონომიური ცვლილებანი და ჩამოაყალიბა ახალი, „მესამე დასის" ძირითადი შეხედულებანი.

„მესამე დასი" 1893-1898 წლებში ეწეოდა მარქსისტული იდეების პროპაგანდას ლეგალური ჟურნალ-გაზეთებისა და მუშათა ვიწრო, პროპაგანდისტული წრეების საშუალებით, იძლეოდა ერთგვარ ბიძგს რევოლუციური ახალგაზრდობისა და მოწინავე მუშების მიერ მარქსიზმის შესწავლისათვის. ამავე პერიოდში „მესამე დასმა" ერთგვარი დადებითი როლი შეასრულა აგრეთვე თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის აშკარა შოვინისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

„მესამე დასი",—ამბობს ამხანაგი ლ. ბერია, — **წარმოადგენს პირველ ქართულ მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელმაც ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა (1893-1898 წლების პერიოდში) მარქსიზმის იდეების გავრცელების საქმეში, აგრეთვე ქართველი თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის აშკარა შოვინისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში".**

„მესამე დასის" უმრავლესობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას. „ლეგალურ მარქსიზმს", რომელიც ამახინჯებდა და ავულგარებდა რევოლუციურ მარქსიზმს და უფარდებდა მას ბურჟუაზიის ინტერესებს.

ქართული ლეგალური მარქსიზმი ძლიერ ენათესავება რუსეთის ლეგალურ მარქსიზმს, მაგრამ მათ შორის ერთგვარი განსხვავებაც არსებობს. რუსი ლეგალური მარქსისტები, წარმოადგენდნენ რა ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგებს, ცდილობდნენ დაწყებულ საზოგადოებრივ-რევოლუციურ მოძრაობას მიტმასხოდნენ და გამოეყენებინათ იგი ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ეს იყო ოპორტუნისტული მიმდინარეობა მუშათა მოძრაობის გარეთ, ამ მოძრაობის დროებითი „თანამგზავრი", რომელსაც შემდეგში იდეურად შეუკავშირდა და თეორიულად დაეყრდნო ე. წ. ეკონომიზმი — პირველი ოპორტუნისტული მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. რაც შეეხება საქართველოს ლეგალურ მარქსიზმს, იგი რუსეთის ლეგალური მარქსისაგან განსხვავებით წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას საქართველოს მუშათა მოძრაობაში, სოციალ-დემოკრატიაში. თუ რუსეთში ლეგალური მარქსიზმი და ეკონომიზმი იყვნენ ოპორტუნიზმის სახესხვაობანი, ერთი მუშათა მოძრაობის გარეთ, მეორე კი მასში, „მესამე დასის" ძირითადი ჯგუფი საქართველოში ჟორდანიას მეთაურობით წარმოადგენდა ერთსაც და მეორესაც. იგი აერთებდა ლეგალურ მარქსიზმს ეკონომიზმთან და თავიდანვე წარმოადგენდა პირველ ოპორტუნისტულ მიმდინარეობას საქართველოს მუშათა მოძრაობაში.

1898 წელს „მესამე დასში" შევიდა ი. ბ. სტალინი. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით ამავე წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა „მესამე დასის" რევოლუციური უმცირესობა სტალინის, კეცხოველისა და წულუკიძის შემადგენლობით.

ამხანაგი ლ. ბერია ამბობს:

„მესამე დასის" შიგნით 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი—ს. წულუკიძე, ლადო კეცხოველი და ი. სტალინი. ეს ჯგუფი წარმოადგენდა „მესამე დასის" უმცირესობას, რომელიც მთელ რიგ ძირითად საკითხებში არ ეთანხმებოდა „მესამე დასის" უმრავლესობას".

თუ რუსეთში „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის შეცდომათა გასწორება და მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთების ამოცანის გადაჭრა მოუხდა ვ. ი. ლენინს, საქართველოში „მესამე დასის" უმრავლესობის მიერ მარქსიზმის დამახინჯების კრიტიკა, ნამდვილი რევოლუციური მარქსისტული შეხედულებების დაცვა და მუშათა მოძრაობასთან რევოლუციური თეორიის შეერთების ამოცანის პრაქტიკულად განხორციელება მოუხდა ი. ბ. სტალინს.

„მესამე დასის" უმცირესობის — სტალინის, კეცხოველისა და წულუკიძის დაუღალავი მუშაობის შედეგად საქართველოს მუშათა მოძრაობა, რომელიც სტიქიურ, შემთხვევითს და არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა 1898 წლამდე, 1899-1900 წლებში შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს იღებს.

ამხანაგი სტალინი მთელ თავის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა ლენინის იდეებით.

„ლენინის ნაწარმოებთა შესწავლამ, — ამბობს ამხანაგი ლ. ბერია, — განსაზღვრა ის გზა, რომელსაც დაადგა ამხანაგი სტალინი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. ეს იყო გზა პროლეტარიატის ნამდვილი რევოლუციური პარტიის შექმნისა და განმტკიცებისა, მუშათა კლასის აშკარა პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციისა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად".

ამიერკავკასიაში ლენინური იდეების დანერგვა და ლენინური ორგანიზაციების შექმნა განუყრელად დაკავშირებულია დიდი ლენინის ყველაზე ერთგულესი თანამებრძოლის დიდი სტალინის სახელთან. ამხანაგმა სტალინმა ალმართა ლენინის დიადი დროშა და საფუძველი ჩაუყარა ლენინურ-ისკრულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ამხანაგ სტალინსა და მის თანამებრძოლებს, მსგავსად ლენინის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირისა", მუშათა მოძრაობაში შეჰქონდათ სოციალისტური შეგნება. მათ საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატის ბრძოლა გადაჰყავთ აშკარა პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე. 1899 წელს თბილისში, ქალაქგარეთ, პირველად ეწყობა მაისობა. ამ მაისობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან იწყება, როგორც გაზეთი „ბრძოლა" მიუთითებს, მუშათა შეგნებული და ორგანიზებული მოძრაობა საქართველოში. 1900 წელს აგვისტოში ეწყობა თბილისის რკინიგზის სახელოსნოების და დეპოს მუშათა გრანდიოზული გაფიცვა. ამ გაფიცვით „მუშათა მოძრაობა ჩვენში მტკიცედ ადგება პოლიტიკური ბრძოლის გზას" (გაზეთი „ბრძოლა", № 2-3, 1901 წ.). 1901 წელს თბილისის მუშები ქალაქის ცენტრში აწყობენ საპირველმაისო დემონსტრაციას. ეს იყო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. 1902 წელს ბათუმში ხდება გრანდიოზული გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლებმაც დიდი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინეს მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაზე, ნიადაგი მოუმზადეს რუსეთის პირველი რევოლუციის გრანდიოზულ გაქანებას ჩვენში. ასე წარმართა „მესამე დასის" უმცირესობამ სტალინის მეთაურობით საქართველოს მუშათა მოძრაობა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, აშკარა პოლიტიკური ბრძოლის გზით.

„მესამე დასის" უმრავლესობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში სტალინი და მისი თანამებრძოლები კეცხოველი, წულუკიძე ბრწყინვალედ იცავდნენ, ასაბუთებდნენ და ავითარებდნენ ლენინის დიად იდეებს. წინააღმდეგ უმრავლესობისა, რომელიც თავს მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენლად სთვლიდა, სტალინური „ბრძოლა" რევოლუციონერ მარქსისტთა მოღვაწეობის დანიშნულებას პროლეტარიატისადმი სამსახურში ხედავს და სწერს, რომ მარქსისტების ამოცანაა დაეხმარონ მუშათა კლასს იდეური გათვითცნობიერებისა და ორგანიზებული გაერთიანების საქმეში.

„ბრძოლა" სწერდა:

„მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი არის ისტორიიდან ამორჩეული, როგორც განმათავისუფლებელი მთელი კაცობრიობისა და ქვეყნად ბედნიერების დამამყარებელი". ამის საფუძველზე „ხელმძღვანელობის როლისათვის მუშათა კლასი უნდა მოეწყოს **თვითმოქმედ პოლიტიკურ პარტიად**". ამიტომ „...სანამ პოლიტიკური ძალა არ გადავა პროლეტარიატის ხელში (დიქტატურა პროლეტარიატისა), შეუძლებელია შეიცვალოს არსებული წესწყობილება, შეუძლებელია მუშების სრული განთავისუფლება".

წინააღმდეგ „მესამე დასის" ოპორტუნისტული უმრავლესობისა, რომელიც ბურჟუაზიის ჰეგემონიის იდეას იცავდა, რევოლუციური უმცირესობა პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას ქადაგებდა. პროლეტარიატმა და მისმა პარტიამ რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ,—სწერდა „ბრძოლა",—**„თავის ხელში უნდა აიღოს დროშა რუსეთის დემოკრატიისა და გაუძღვეს ყველასათვის სანატრელ გამარჯვებისაკენ".**

სტალინურმა „ბრძოლამ" ამხილა „მარქსისტული" ფორმით შენიღბული თუ აშკარა ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და მოგვცა ნაციონალური საკითხის მარქსისტულ-ლენინური გაშუქება.

„გასაკვირველი არ არის,—სწერს „ბრძოლა",—როცა სოციალისტური პარტია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უწევს შემავიწროებელთა ნაციონალიზმს. მაგრამ რატომ სოციალისტური პარტია **აუცილებლად** არ უჭერს მხარს მებრძოლ შევიწროებულ ერებს? ჩვენ ვთქვით, რომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში. ეს სიტყვებივე გვაძლევენ გადაჭრილ პასუხს ჩვენ კითხვაზე: ნაციონალური თავისუფლება გამოდის როგორც **ნაწილი** საერთო დემოკრატიული თავისუფლებისა და მაშასადამე, მას, ნაციონალურ თავისუფლებას, არ შეუძლია დაიმორჩილოს მთელი საერთო-დემოკრატიული თავისუფლება და ამიტომ ყოველთვის, როდესაც კი ნაციონალური და საერთო-დემოკრატიული ინტერესები ერთმანეთს ეკავშირდებიან ნაციონალურმა ინტერესებმა უნდა დაუთმონ. აი ის შეხედულება, რომელზედაც დგას შეგნებული პროლეტარიატი".

ამგვარად, „მესამე დასის" უმრავლესობის და მისი ლიდერის ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ გადამჭრელ, შეურიგებელ ბრძოლაში „მესამე დასის" უმცირესობა **ი. ბ. სტალინის** მეთაურობით ამკვიდრებს რევოლუციურ მარქსიზმს და საფუძველს უყრის მუშათა მოძრაობაზე დაყრდნობილი პროლეტარული პარტიის პირველ სერიოზულ ჩანასახს საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ლ. გორგილაძე

მძლავრი დასაყრდენი ისტორიის შესწავლისათვის

ლავრენტი ბერიას ისტორიულმა მოხსენებამ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" ნათელი მოჰფინა ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირულ წარსულს. ეს მოხსენება იქცა ყველა ბოლშევიკის ნიადაგსახმარ წიგნად და ჩვენი გზის მაჩვენებლად.

პროპაგანდისტულ მუშაობას, ჩვენი პარტიის ისტორიის მოკლე კურსთან ერთად საფუძვლად ედო ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენება. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელ წრეში მეცადინეობისას, ცალკეული თემების დამუშავებასთან ერთად დაწვრილებით ვაცნობდი მსმენელებს ამ მოხსენების მიხედვით ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის მთელ რიგ საკითხებს, რაც დიდ ინტერესს იწვევდა მსმენელებში. ჩემი მსმენელები საფოსტო სამმართველოსთან არსებულ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეში დამოუკიდებლად ამუშავებდნენ ცალკეულ საკითხებს ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის მიხედვით. ამხ. მ. საბანაძემ წრის წევრებს სერიოზული მოხსენება გაუკეთა თემაზე „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის". მოხსენების შემდეგ მსმენელები გამოვიდნენ სიტყვებით. მსმენელმა ნ. ერემოვამ მოხსენება გააკეთა ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის მიხედვით პრაღის კონფერენციის საკითხის შესახებ.

ამჟამად წრეს ვხელმძღვანელობ ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში. მეცადინეობის საგანს წარმოადგენს ი. ბ. სტალინის შრომა „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ". ი. ბ. სტალინის წიგნის „მარქსიზმისა და ნაციონალური საკითხის" შესწავლისათვის დიდი დახმარება გაგვიწია ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენების მეოთხე თავმა „ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლის ისტორიისათვის".

საქართველოს სსრ აბრეშუმის ტრესტში ჩვენ მოგვიხდა გაგვეკეთებინა მოხსენება „ამხანაგ ბერიას წიგნის შესწავლის მნიშვნელობის შესახებ". კრებაზე გამოირკვა, რომ მუშა-მოსამსახურენი სერიოზულად სწავლობენ ამ ნაშრომს.

მე, როგორც პროპაგანდისტს, ყველაზე მეტად მახარებს მსმენელთა წარმატება მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში. კარგად ვიცი, რომ ეს წარმატება მნიშვნელოვანწილად ჩემზე არის დამოკიდებული. ამიტომ განუწყვეტლივ ვმუშაობ საკუთარი თეორიული დონის ამაღლებისათვის. ამხანაგ ლ. ბერიას წიგნს მუდამ საფუძვლიანად ვსწავლობ, დავდივარ ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში, ავლაბრის რესტავრირებულ სტამბაში და სხვა ისტორიულ ადგილებში, რაც დიდად მეხმარება გავაღრმავო ჩემი თეორიული მომზადება.

შ. იოსელიანი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პროპაგანდისტი

გამოფენა ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში მოეწყო ლიტერატურის გამოფენა ამხანაგ ბერიას მოხსენების ირგვლივ, აგრეთვე გამოფენები ამხანაგ ბერიას წიგნის ცალკეული თავების მიხედვით. კვალიფიციური ლექტორები და კონსულტანტები როგორც კეცხოველის სახლში, ისე ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში აწყობენ მოხსენებებს, ლექციებს, საუბრებსა და მეთოდურ რჩევა-დარიგებებს ამხანაგ ბერიას წიგნის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის.


№ 12
1. [illegible] 1/4 с
2. [illegible] 3/4 с
3. 4
4. [illegible] 4 185
5. [illegible] 1
16
№ 13
1. [illegible] 3
2. [illegible] 3 1/2
3. [illegible] 4
4. [illegible] 2
5. [illegible] 1
16
№ 14
1. [illegible]
2. [illegible] 3
3. [illegible] 4
4. [illegible] 3
5. [illegible] 1
16
По прот. номера № 31.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" ნომრების გეგმა, შედგენილი ამხანაგ სტალინის მიერ.

ნიადაგსახმარი წიგნი

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ გააკეთა მოხსენება — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". ეს დიდი მოვლენა იყო ბოლშევიკური პარტიის იდეურ ცხოვრებაში.

ბოლშევიზმი ისტორიულად ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა ყველა სახის ოპორტუნიზმის, რევიზიონიზმისა და რენეგატობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორია მეხსიერებაში აღადგენს და თვითეულს უჩვენებს, თუ რა დაუნდობელ გმირულ ბრძოლას ეწეოდა და ეწევა ჩვენი პარტია თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ, დაწყებული ძველი ხალხოსნებით, მენშევიკებით, ესერებით და გათავებული ტროცკისტებით, ზინოვიეველებით, ბუხარინელებით, მემარჯვენე ოპორტუნისტებით და სხვა ანტილენინური დაჯგუფებებით, რომლებიც შემდეგში მხილებულ იქნენ როგორც ჯაშუშები, დივერსანტები და ტერორისტები.

ბოლშევიზმის ისტორია ცხადად მოგვაგონებს გამოჩენილი რევოლუციონერების სახეებს, რომლებიც თავდადებულად და უშიშრად იბრძოდნენ პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის, მთელი ძალით გვიჩვენებს ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გენიალური ბელადებისა და ორგანიზატორების სიდიადეს, პარტიისა, რომელშიც ხორცშესხმულია „ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი". (ლენინი).

ბოლშევიზმის ისტორიის, ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლის ისტორიის შესწავლით, რომელიც წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდის საუკეთესო იარაღს, კომუნისტი და კომკავშირელი იმაღლებს იდეურ-თეორიულ დონეს, განამტკიცებს თავის რევოლუციურ წრთობას, ზრდის თავის ბოლშევიკურ სიფხიზლესა და შეურიგებლობას.

1931 წელს ამხანაგი სტალინი სწერდა, რომ აუცილებელია „...სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები, ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დავაყენოთ მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე და გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტული და ყველა სხვა ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ, სისტემატურად ჩამოვგლიჯოთ მათ ნიღაბი". (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", გვ. 452, XI გამოცემა).

როგორც ყველა სხვა საკითხშიც, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ამ ბრძნული მითითების შესრულების საუკეთესო ნიმუში გვიჩვენა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ.

ამხანაგმა ლ. ბერიამ, დიდი სტალინის ერთგულმა მოწაფემ და თანამებრძოლმა მოგვცა შესანიშნავი ნაშრომი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ, რითაც უძვირფასესი განძი შეიტანა ბოლშევიზმის მატიანეში. ეს წიგნი ღრმად და საფუძვლიანად გვაცნობს საკავშირო კ. პ. (ბ) ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის ისტორიას, რაც განუყრელად დაკავშირებულია დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელთან.

როდესაც დიდი ლენინი საძირკველს უყრიდა ბოლშევიკურ პარტიას, მისი ერთგული მოწაფე და მიმდევარი ამხანაგი სტალინი ლენინური „ისკრის" დროშის ქვეშ რაზმავდა თბილისის, ბაქოს, ბათუმის, ქუთაისისა და სხვ. ქალაქების რევოლუციურ პროლეტარებს ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში.

„ამიერკავკასიის ბოლშევიკებს, — სწერს თავის წიგნში ამხანაგი ლ. ბერია,—მოეპოვებათ უდიდესი ისტორიული გამოცდილება ლენინური პარტიის მშენებლობისათვის ბრძოლისა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან" (ლ. ბერია „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 9).

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნმა, რომელშიც წარმტაცად მოთხრობილია ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორია, გაამდიდრა საკავშირო კ. პ. (ბ) მთელი ისტორიული ლიტერატურა.

განვლილი ათეული წლის მანძილზე მთელი ჩვენი პარტია, კომკავშირი, მშრომელი მასები უდიდესი ინტერესით სწავლობდნენ ამხანაგ ბერიას წიგნს. იგი მრავალჯერ გამოიცა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე და ბევრ უცხო ქვეყანაში. მარტო ეს მოწმობს ამ წიგნის უდიდეს მნიშვნელობას და მისი შესწავლის ინტერესს. კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა საბჭოთა ადამიანი მას სამართლიანად უწოდებენ თავის საყვარელ ნიადაგსახმარ წიგნს.

ამხანაგ ლ. ბერიას უკვდავი წიგნი სრული სამართლით აშუქებს ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასა და ბრძოლას, მძლავრ დამხმარე საშუალებას წარმოადგენს ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლის საქმეში, გვიჩვენებს ჩვენი პარტიის დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინის** — რევოლუციური მოძრაობის ჩასახვის ჯერ კიდევ გარიჟრაჟზე საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებლისა და შემქმნელის უდიდეს როლს.

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის მიხედვით ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესწავლისას ჩვენ ვპოულობთ ახალ უმდიდრეს მასალას დიდი **სტალინის** რევოლუციური მუშაობის შესახებ.

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნმა, რომელიც ისტორიული ფაქტებისა და დოკუმენტების მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე აშუქებს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიას, ბოლო მოუღო დამახინჯებასა და გაყალბებას ხალხის მხილებული მტრებისა და მათ ხელშემწყობთა მიერ. ამ ფსევდო-თეორეტიკოსთა ნაწარმოებნი შეგნებულად ამახინჯებდნენ ფაქტებსა და მოვლენებს, მცდარად გადმოგვცემდნენ პარტიის ისტორიას, დიდ ზიანს აყენებდნენ კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეს.

ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენება სასტიკად აკრიტიკებს აგრეთვე იმ ამხანაგებს, რომლებიც საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლის ისტორიის გაშუქებაში უშვებდნენ პრინციპული და ისტორიული ხასიათის მთელ რიგ შეცდომებს, არაკეთილსინდისიერად გადმოგვცემდნენ ჩვენი პარტიის ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვან მომენტებს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ყოველგვარი გაყალბებისა და დამახინჯების დაუნდობელ მხილებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს პარტიული კადრების, პარტიისა და კომკავშირის ყველა წევრის ბოლშევიკური აღზრდისათვის.

თბილისის პარტიული აქტივის კრების 1935 წლის 22 ივლისის რეზოლუციაში ვკითხულობთ:

„თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება განსაკუთრებით უსვამს ხაზს ამხანაგ **ბერიას** მოხსენების მნიშვნელობას დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ბოლშევიკების გმირული ბრძოლის სახელოვანი ტრადიციების შეთვისების საქმეში, პარტიული რიგების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში, ყველა ანტიპარტიული და კონტრრევოლუციური ელემენტების, თვალთმაქცების, დამპალი ლიბერალების, ბობოლების, დიდმპყრობელი შოვინისტების, ნაციონალ-უკლონისტებისა და სხვ. წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიული ორგანიზაციების ბოლშევიკური სიფხიზლის გაძლიერების საქმეში".

მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ამხანაგ ლ. ბერიას შესანიშნავი წიგნი, თვითეულ ბოლშევიკსა და კომკავშირელს შესაძლებლობა მიეცა შეისწავლოს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჭეშმარიტი ისტორია.

აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართო მუშაობა გაშალეს ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის საფუძვლიანი შესწავლისათვის. კომუნისტებისა და კომკავშირელების დიდი უმრავლესობა დამოუკიდებლად სწავლობს მას. ახლა ამ წიგნის შესწავლაზე 2.771 კაცი მუშაობს დამოუკიდებლად. 1945 წელს ამხანაგ ბერიას წიგნის შესასწავლად მოეწყო 28 თეორიული კონფერენცია და 113 ლექცია. ამის გარდა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების გადასამზადებელ სალამოს კურსებზე ბევრი ამხანაგი სერიოზულად მუშაობს ამხანაგ ლ. ბერიას წიგნზე. საწარმოებსა, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში შექმნილია ამხანაგ ბერიას წიგნის შემსწავლელი წრეები.

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის ორგანიზაციის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პარტიული კაბინეტები ლექციებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარებით დიდ დახმარებას უწევენ კომუნისტებს, კომკავშირელებს, უპარტიო ამხანაგებს — მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას ამხანაგ ბერიას წიგნის შესწავლის საქმეში. აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები, სწავლობენ რა ყოველდღიურად და საფუძვლიანად ამხანაგ ბერიას წიგნს, კიდევ უფრო იმსჭვალებიან ბოლშევიკური შეუპოვრობისა და შეურიგებლობის გრძნობით მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებისადმი, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის და ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ კვლავაც დაუღალავად იმუშაონ ამხანაგ ბერიას ნაშრომის შესასწავლად, აღზარდონ კადრები, პარტიისა და კომკავშირის ყველა წევრი მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით, შემდეგშიც თვალსაჩინოვნად დაიცვან მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდე, გააღრმავონ იდეოლოგიური, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

ბოლშევიკურმა პარტიამ, ლენინ-სტალინის პარტიამ ჩვენი ხალხი, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო ჰიტლერულ გერმანიაზე ისტორიულ გამარჯვებამდე მიიყვანა. ამ ომში განსაკუთრებით ნათლად იჩინა თავი მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალამ, რომელმაც ბოლშევიკურ პარტიას შესაძლებლობა მისცა მეცნიერულად განესაზღვრა მებრძოლ ძალთა თანაფარდობა, გაეთვალისწინებინა მისი ცვლილებანი მძაფრი სამხარო მოქმედების მსვლელობაში და გამოეჭედნა საბჭოთა ხალხის, მისი მამაცი წითელი არმიის გამარჯვება მოსისხლე მტერზე — ჰიტლერულ გერმანიაზე.

ბუნებრივია, რომ ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლისადმი, რევოლუციური თეორიის დაუფლებისადმი. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები არ უნდა დასჯერდნენ იმას, რასაც მიაღწიეს ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" შესწავლის საქმეში. პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური პრაქტიკული ამოცანა ის არის, რომ შემდეგშიც უზრუნველყონ ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის შესწავლის მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე.

საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სამამულო ომის განმავლობაში ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირულ სამუშაოზე მოვიდა მუშაკთა ახალი აქტივი, რომლის ნაწილსაც ჯერ კიდევ საკმარისად არა აქვს შესწავლილი ბოლშევიზმი. საჭიროა დავეხმაროთ მათ ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის ღრმად შესწავლასა და შეთვისებაში. კარგად უნდა დავიხსომოთ, რომ პარტიის ისტორიის ცოდნა, სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონთა, კომუნიზმის გამარჯვების მეცნიერული ცოდნა უწინარეს ყოვლისა პარტიულ აქტივს მოეთხოვება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი დახმარება უნდა გაუწიონ კომკავშირს ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის შესწავლის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

ლენინ-სტალინის პარტიის იდეებზე, მის სახელოვან გმირულ ისტორიაზე აღზრდილმა ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა ღირსეულად გამოატარა თავისი დროშა სამამულო ომში და ღირსი გახდა მაღალი ჯილდოსი—**ლენინის ორდენისა.** ამხანაგ ლ. ბერიას წიგნის შემდგომი ღრმა შესწავლა უდიდეს დახმარებას გაუწევს კომკავშირულ ორგანიზაციებს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლების საქმეში, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო თავისი რიგების კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვის საქმეში.

ახლა, როცა დიდი სამამულო ომი დამთავრდა ფაშისტური გერმანიის სრული განადგურებით, ჩვენმა სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა და ჩვენ კვლავ შევუდექით მშვიდობიან მშენებლობას, ამოცანა ის არის, რომ სწრაფად მოვუშუშოთ ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები, კიდევ უფრო მეტი მზრუნველობა გამოვიჩინოთ იმათი ოჯახებისადმი, ვინც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას შესწირა ყველაფერზე ძვირფასი რამ, რაც კი გააჩნდა—თავისი სიცოცხლე. ეს მოითხოვს მუშაობის ყველა დარგის პარტიული ხელმძღვანელობის დონის გაუმჯობესებასა და ამაღლებას. ამისათვის ჩვენ კვლავაც უნდა მოვაწყოთ პარტიული აქტივის სისტემატური და ბეჯითი სწავლება, რათა შევძინოთ მას მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ცოდნა, ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის ცოდნა.

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნი უძვირფასესი და მძლავრი იარაღია სტალინური სახელმძღვანელოს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესასწავლად, რომელიც წარმოადგენს ძირითად ცოდნათა ენციკლოპედიას მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში და რომელშიც მეცნიერულად განზოგადებულია ბოლშევიკური პარტიის გიგანტური გამოცდილება.

ჩვენ კვლავაც უნდა განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს ძალა და სამხედრო-სამეურნეო ძლიერება. ის, რაც გუშინ გვეკეთდა, დღეს ველარ დაგვაკმაყოფილებს. იგი დღეს, და ხვალ უკან უნდა ჩამორჩეს ჩვენი მუშაობის კიდევ უფრო მაღალმა კლასმა, და ეს ასეც იქნება, ვინაიდან ჩვენ გვხელმძღვანელობს სახელოვანი ბოლშევიკური პარტია დიდი **სტალინის** მეთაურობით.

ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშით წინ—ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ!

ა. მგელაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით

დიდი სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა, ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თბილისის პარტაქტივის კრებაზე ათი წლის წინათ გააკეთა მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". ეს ღრმად მეცნიერული ნაშრომი, როგორც „პრავდამ" აღნიშნა, წარმოადგენს უძვირფასეს განძს ბოლშევიზმის მატიანეში.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თავის შესანიშნავ მოხსენებაში პირველმა გააშუქა მეცნიერულად ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის ისტორიის ძირითადი საკითხები, ნათელჰყო, რომ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან".

ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენების საფუძველზე, მისი ინიციატივით გაიშალა დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების სახელოვანი წარსულის შესასწავლად. გამოვლენილ და აღდგენილ იქნა ის ისტორიული ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან.

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს მშრომელები განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდნენ და სწავლობენ ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენებას, ეცნობიან დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს, იმ ქვეყანას, „სადაც პირველად გაშალა მძლავრი ფრთები ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გენიამ".

გორი. სტალინის სახლი-მუზეუმი

ი. ბ. სტალინი ჭიათურაში მუშათა კრებაზე ამხელს მენშევიკებს (1905 წ.).
მხატვარი ს. ნადარეიშვილი

◁ ◇ ▷

იქ, სადაც დაიბადა დიდი სტალინი

კლდეზე ამაყად დგას გალავანშემოვლებული გორის ციხე. ძირს მტკვარი მოჰქუხს, მოღელავს, უმღერის მზიურ ქვეყანას. ფეხმარდი ლიახვი ტალღებით ეთამაშება მშობლიურ ნაპირებს, მოუთხრობს ქართლის ცხოვრებაზე.

ქალაქი გორი... მზის მშობელი! ლამაზი, ბარაქიანი, ბედნიერი ბედნიერთა შორის!

აქ, ქართლის შუაგულში, ტონთიოს ციხის ნანგრევებთან ისმენდა დედის პირველ ნანას. აქ, მოშრიალე ვერხვებს შორის, სადაც „ლიახვის შხაპი, ზვირთი მტკვრისა არწივის ბუდეს ეშხაპუნება", პატარა ქოხში გატარა თავისი ბავშვობა კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.

გორი...

ვინ არ ყოფილა ამ მშობლიურ ქალაქში, ვინ არ დამტკბარა მისი სიმშვენიერით!..

ჩვენი ქვეყნის მშრომელები განუწყვეტლივ მოდიან აქ, ნახულობენ ბელადის აკვანს.

მოდიან მუშები, აღტაცებით ათვალიერებენ ბელადის სახლს... და როცა საწარმოში კვლავ ბრუნდებიან, მათი ბრძმედები მეტ შენადნობს იძლევა, შახტი მეტ ქვანახშირს, ორთქლმავალი სისწრაფეს უმატებს, ფოლადის დაზგები უფრო ნაყოფიერად მუშაობენ...

მოდიან კოლმეურნეები, მეცნიერები და მწერლები, მხატვრები და არქიტექტორები, ინჟინრები და მასწავლებლები, მეზღვაურები და მფრინავები. აქ ისინი ახალ შემოქმედებით ძალას იძენენ, ახალი ენერგიით უბრუნდებიან თავიანთ საბრძოლო უბანს.

როცა დასავლეთიდან ატყდა ქარიშხალი, ვერაგი მტერი შემოესია ჩვენს მიწა-წყალს, საბჭოთა პატრიოტები სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი წავიდნენ სამშობლოს დასაცავად.

სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი დადგნენ მშრომელები საწარმოებსა და კოლმეურნეობებში საბრძოლო ვახტზე, რათა ფრონტისათვის მიეცათ ყველაფერი, რაც საჭირო იყო ვერაგ მტერზე გასამარჯვებლად.

სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი მუშაობდნენ მეცნიერები, ნოვატორები, რომ მტრის გამანადგურებელ რისხვად დასტეხოდა საბჭოთა იარაღის ძლიერება.

ღელავდა ქვეყანა...

შავი ღრუბლები მოიწევდნენ ჩვენი სამშობლოს სიღრმეში... სვასტიკიანი სვავები მოქროდნენ დედაქალაქისაკენ...

მთელი მსოფლიო უსქეროდა მოსკოვს...

კრემლის კურანტები კვლავ მეტყველებდნენ...

რადიო დარწმუნებით ამბობდა: **„ჩვენი საქმე სამართლიანია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება"**.

მტერმა პირველი დამარცხება იგემა... გმირმა წითელმა არმიამ მოსკოვის მისადგომებთან ხერხემალი გადაუმსხვრია ავაზაკებს...

მაშინ მუხანათები სამხრეთისაკენ გამოძვრნენ...

„სურდათ სისხლით მოელვარათ
საქართველოს კარ-მიდამო
და ჩაექროთ ეროვნული
ჩვენი კერა სამუდამოდ.
ჰიტლერელი დამპყრობლები
უმზადებდნენ ნგრევას თბილისს,
საქართველოს ამ დიდ გულზე
დალესილი ჰქონდათ კბილი:
იმიტომ რომ აქ სტალინი—
ჭაბუკობის პირველ დღიდან—
ნაპერწკლიდან ცეცხლს აჩენდა,
ბოლშევიკურ კერას ჰქმნიდა".

მყინვარის კალთებზე ყუმბარებმა დაიქუხეს... კავკასიონის კლდეკარებში სისხლი ნაკადულივით ჩქეფდა. მტერი ცდილობდა საქართველოს გადათელვას, ბელადის აკვანის აოხრებას...

„მაგრამ მტერი ვერ ეღირსა
ჩვენი ქვეყნის გლოვის ნახვას,—
საქართველოს ბაღნარების
გადათელვას, გადალახვას.
როცა იგი კარს მოგვადგა
მოწოლილი შავზე შავად —
დადგა მთელი საბჭოეთი
საქართველოს დასაცავად".

ომში მიმავალი ვაჟკაცები ნახულობდნენ ქალაქ გორში იმ სახლს, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა სტალინმა; ისინი იძლეოდნენ მეომრულ ფიცს...

„ეს წმინდა ფიცი გმირებმა
ბრძოლაში დაადასტურეს,
დალეწეს მტერთა ჯავშანი,
მთებს მათი სისხლი ასხურეს".

ომი დამთავრდა...

დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება...

ომგადახდილი საბჭოთა ხალხი მთელი ენერგიით შრომობს სამშობლოს ზრდისა და აყვავებისათვის.

ფრონტიდან დაბრუნებულ გმირებს ქება-დიდებას უმღერის სამშობლო. მათ ხვდება გორის სიამაყე, მსოფლიოს მშრომელთა ბედნიერების ოქროს აკვანი.

დიდი ქართველი მგოსანი ილია ჭავჭავაძეც ხომ ამ ოქროს აკვანზე ოცნებობდა, როცა მღეროდა:

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო...
იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი
ვისაც დღედაღამ ნატრულობს
ჩემის ნატვრითა ქართველი?
(თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დაწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!"

ვინ დასწვდა პირველად ამ აკვანს, ვინ აწოვა ყრმას მადლით ცხებული ძუძუ?—პატარა და ლამაზმა გორმა, საქართველოს გულმა.

იზარდე და აყვავდი საყვარელო გორო, გორო, ქართლის შუაგულო!

ასე იწრთობოდა ფოლადი

საქართველოს დედაქალაქ თბილისის ცენტრში, ბერიას სახელობის მოედანთან, ახლანდელი სასტუმრო „პალასის" ფასადს ამშვენებს მემორიალური დაფა. აქ ყოფილ თბილისის სასულიერო სემინარიაში 1894-1899 წლებში სწავლობდა დიდი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი (სტალინი).

1886 წელს სემინარიის მოსწავლის ი. ლაღიაშვილის მიერ შავრაზმელ რექტორ ჩუდეცკის მოკვლა და 1893 წელს ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით სემინარიელთა გაფიცვა მეფის მთავრობამ ქართველი ხალხის აჯანყებად წარმოიდგინა. მომავალი სასწავლო წელი თბილისის სასულიერო სემინარიაში განსაკუთრებული სისასტიკით დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში მიიღეს სემინარიის პირველ კლასში გორის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებული იოსებ (სოსო) ჯუღაშვილი.

სემინარიაში მისვლისთანავე იოსებ ჯუღაშვილმა დიდი ნიჭი, სიბეჯითე და შრომისმოყვარეობა გამოიჩინა. ისტორიის ყოფილი მასწავლებლის ნ. მ. მახათაძის მოგონებებში აღნიშნულია: „მოსწავლე ი. ჯუღაშვილი საკლასო თხზულებებს ყოველთვის ფრიადზე სწერდა. მახსოვს ერთი მისი თხზულება, როგორც სამაგალითო, სამასწავლებლო ოთახში წავუკითხე მასწავლებლებს და ჩვენმა მასწავლებლებმა ერთხმად შესძახეს: ამის დამწერი უსათუოდ გენიოსი იქნებაო. ასეთივე თხზულება ჯუღაშვილისა მოიტანა და წაგვიკითხა რუსული ენის მასწავლებელმა ა. პ. ალბოვმა და ჩვენ ისეთივე აზრი გამოვთქვით". ი. ჯუღაშვილი გულმოდგინედ მუშაობდა თავისთავზე, მან კარგად შეისწავლა ბუნებისმეტყველება, ასტრონომია, გეოლოგია, ქიმია, ბიოლოგია და სხვა მეცნიერებანი, საფუძვლიანად გაეცნო მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს, ფრანგ და რუს განმანათლებლებს.

1895 წლის ივნისში გაზეთმა „ივერიამ" პირველ გვერდზე დაბეჭდა ი. ბ. ჯუღაშვილის ლექსი „დილა". ყველა იცნობს ამ ლექსს, რომელიც შემდეგ დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა „დედა ენაში" შეიტანა. ამ ლექსზე აღიზარდნენ ქართველი ახალგაზრდობის მთელი თაობები. „დილას" მოჰყვა სხვა ლექსებიც. ყველა ამ ლექსში მაღალ ფორმასთან ერთად გამოსჭვივის ავტორის თანაგრძნობა მშრომელი ხალხისადმი.

1899 წელს მ. კელენჯერიძის სიტყვიერების თეორიაში გარჩეულია ი. ბ. ჯუღაშვილის ლექსები „მთვარეს" და „რაფიელ ერისთავს", როგორც ორიგინალური ლექსთაწყობის ნიმუში.

სემინარიაში ი. ბ. ჯუღაშვილი შედის მოწაფეთა არალეგალურ წრეში, რომლის მუშაობა ტრადიციულად განისაზღვრებოდა ლიტერატურის შესწავლით, ხოლო პოლიტიკურ საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. წრეში შესვლისთანავე ი. ბ. ჯუღაშვილმა სიახლე შეიტანა. მან გადაჭრით დასვა საკითხი მარქსიზმის შესწავლის აუცილებლობის შესახებ. ამ წინადადებას მიემხრო მოსწავლეთა საუკეთესო ნაწილი და ამგვარად ჩამოყალიბდა მარქსიზმის შემსწავლელი წრე. „წრის წევრებზე მთელი თავით მაღლა იდგა სოსო ჯუღაშვილი, მაგრამ ის თავისი უპირატესობით არასოდეს არ ამაყობდა. მუდამ ამხანაგების მოსიყვარულე, ხელს უწყობდა სხვებს ცოდნის ამაღლებაში", — გადმოგვცემს ი. ბ. ჯუღაშვილის წრის წევრი, ყოფილი სემინარიელი ვ. ხახანაშვილი.

ი. ბ. ჯუღაშვილი ჯერ კიდევ გორში გაეცნო რუსეთიდან გადმოსახლებულ მარქსისტებს. შემდეგ თბილისში კიდევ უფრო დაუკავშირდა მათ. „იმ დამამცირებელი რეჟიმის და ალზრდის იეზუიტური მეთოდის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელსაც ადგილი ჰქონდა სემინარიაში, მზად ვიყავი გავმხდარიყავი და მართლაც გავხდი რევოლუციონერი, მარქსიზმის, როგორც ნამდვილად რევოლუციური მოძღვრების მომხრე", — ამბობს ი. ბ. სტალინი.

ი. ბ. ჯუღაშვილი სემინარიაში ყოფნისას გაეცნო ლენინის ნაწერებს. იგი შევიდა „მესამე დასში" და დაუკავშირდა მუშათა წრეებს. ი. ბ. სტალინმა „მესამე დასში" ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ ჩამოაყალიბა რევოლუციურ-მარქსისტული „უმცირესობა".

1899 წელს სემინარიის ადმინისტრაციამ ი. ბ. ჯუღაშვილი, როგორც „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო", გარიცხა სემინარიის VI კლასიდან.

მუშებთან

ცისფრად შეღებილ ორსართულიან სახლს შესავალ კართან ლამაზი წარწერა აქვს — **კლარა ცეტკინის ქუჩა № 194.** ამ სახლში მიიღო პირველი „რევოლუციური ნათლობა" ჭაბუკმა ი. ბ. ჯუღაშვილმა. 1926 წლის ივნისში, როდესაც დიდი სტალინი ეწვია თბილისის რკინიგზის მუშებს, მუშათა მისალმების საპასუხოდ აღნიშნა: „...მაგონდება 1898 წელი, როდესაც მე პირველად მივიღე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე ... მაგონდება, თუ როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილები ამხ. სტურუას ბინაზე, სილიბისტრო ჯიბლაძის (ისიც მაშინ ჩემი ერთერთი მასწავლებელი იყო), ზაქრო ჩოდრიშვილის, მიხო ბოჭორიშვილის, ნინუას და თბილისის სხვა მოწინავე მუშათა თანდასწრებით".

ამ სახლის ერთ-ერთ ოთახში 1898 წელს ვ. სტურუასთან ერთად ცხოვრობდნენ გ. ნინუა, ლ. მამალაძე, ნ. მაჭარაძე და სხვ. 1896 წლიდან ეს მოწინავე მუშები ეწაფებიან თვითგანვითარებას. ისინი ზოგჯერ ხვდებოდნენ „მესამე დასის" უმრავლესობის წარმომადგენლებს, მაგრამ მჭიდრო ურთიერთობა მათთან არასოდეს არ ჰქონიათ. „მესამე დასის" უმრავლესობა, როგორც ცნობილია, ვიწრო პროპაგანდისტული მუშაობიდან ფართო პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის წინააღმდეგი იყო.

მუშები იძებდნენ ხელმძღვანელს. ჯერ კიდევ 1896 წლიდან იცნობდნენ თბილისის მოწინავე მუშები ახალგაზრდა ნიჭიერ სემინარიელს ი. ბ. ჯუღაშვილს, 1898 წელს ი. ბ. სტალინი, ღრმად განათლებული მარქსისტი, საუკეთესო ორგანიზატორი მიდის მუშებთან. „მესამე დასის" უმრავლესობის წარმომადგენლებს არ უნდოდათ, რომ ჩვენთან მოსულიყო ამხანაგი სტალინი, მაგრამ ჩვენ, მუშებმა, თვითონ მოვნახეთ იგი".—სწერს ვანო სტურუა (გაზეთი „კომუნისტი", 1929 წელი № 294).

ამხანაგი სტალინი წრეში მისვლისთანავე მუშების საყოველთაო სიყვარულს იმსახურებს. „ი. ბ. სტალინის ღრმა ცოდნა და მომზადება, საკითხის შესანიშნავი გადმოცემა აკვირვებდა მუშებს,— სწერს თავის მოგონებაში მოწინავე მუშა ნ. მაჭარაძე, — სულგანაბული ვუსმენდით ჩვენს მასწავლებელს და გვეკვირდა, სად შეი- [illegible]

რევოლუციური მოძრაობის პირველი აკვანი

[illegible]

ვოლუციურ-მარქსისტული წრეები. რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების გათვითცნობიერების შედეგად ი. ბ. სტალინმა პრაქტიკულად განახორციელა მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთება.

90-იანი წლების დამლევს რკინიგზის მთავარი სახელოსნოები და დეპო წარმოადგენდნენ მძლავრ ინდუსტრიულ კერებს, სადაც 4.000-მდე კაცი მუშაობდა. 90-იან წლებში აქ იყო მოწინავე მუშათა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ა. არაბიაშვილი, აფანასიევი, კალუგინი, დ. დვალი, ს. ალილუევი, დიდი მწერალი ა. მ. გორკი და სხვ. 1898 წელს, მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინმა მოაწყო მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე, რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები ვ. სტურუა, მ. ბოჭორიშვილი, ზ. ჩოდრიშვილი, გ. თელია, ს. ალილუევი და სხვ. აგიტაციას ეწეოდნენ, როგორც მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში, ისე ქალაქის სხვა ფაბრიკა-ქარხნებში. ეს მოწინავე მუშები ამხანაგმა სტალინმა მოამზადა წრეების ორგანიზატორებად. მოკლე ხანში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში 11 წრე მუშაობდა, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების მუშები.

1898 წლის დეკემბერში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა პირველი პოლიტიკური გაფიცვა. 1900 წელს თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა გრანდიოზულმა გაფიცვამ დიდი როლი შეასრულა კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ეს იყო კავკასიაში მუშათა მოძრაობის დიადი დასაწყისი.

როდესაც ბარომეტრი ქარიშხალს უჩვენებდა

პლეხანოვის პროსპექტზე, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური, ყოფილი ობსერვატორია, სადაც ი. ბ. სტალინი მუშაობდა და ცხოვრობდა 1899 წლის 29 დეკემბრიდან 1901 წლის 21 მარტამდე, წარმოადგენდა თბილისის რევოლუციურ-მარქსისტული ჯგუფის კონსპირაციულ ცენტრს. აქ ი. ბ. სტალინთან იკრიბებოდნენ მისი თანამებრძოლები, სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენლები, მოწინავე მუშები. ისინი მოდიოდნენ მასთან რჩევა-დარიგებისა და სახელმძღვანელო მითითებათა მისაღებად, ეცნობოდნენ ლენინის იდეებს. აქ, ამხანაგ სტალინის ბინაზე მისი თანამებრძოლები ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, რუსი მარქსისტი ვ. კ. კურნატოვსკი და სხვები საუბრობდნენ ლენინზე, როგორც ახალი ტიპის პარტიის ბელადზე, მის უშიშარ არწივზე. ამ ბინაზე იმართებოდა თბილისის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის კრებები და თათბირები. აქ გადაწყდა საპირველმაისო დემონსტრაციის ჩატარება თბილისში 1901 წლის 22 აპრილს.

მეფის ჟანდარმერია, რომელიც ადრიდანვე ადევნებდა თვალყურს ი. ბ. სტალინის რევოლუციურ მუშაობას, 1901 წლის 21 მარტს სტალინის დაპატიმრების მიზნით თავს დაესხა ობსერვატორიას. ბელადი გადარჩა დაპატიმრებას და ამ დღიდან სავსებით არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა.

აზვირთდა დემონსტრაციის მძლავრი ტალღა

ბერიას სახელობის მოედანი (ყოფილი ერევნის მოედანი) ცოცხალი მატიანეა იმ ისტორიული მოვლენისა, როდესაც თბილისის მუშებმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით 1901 წლის 22 აპრილს აშკარად აღმართეს ქალაქის ცენტრში მარქს-ენგელსის ძლევამოსილი დროშა და პირისპირ შეებნენ მეფის თვითმპყრობელობას. „მუშათა დემონსტრაცია, — სწერს ლ. პ. ბერია, — თბილისის — რუსეთის თვითმპყრობელობის კავკასიის ციტადელის — ქუჩებში დიდ პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა და უდიდესი რევოლუციური ზემოქმედება მოახდინა მთელ კავკასიაზე". ლენინური „ისკრა" მხურვალედ ეხმაურებოდა ამ ისტორიულ დემონსტრაციას. „ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა",—სწერდა „ისკრა". საპირველმაისო დემონსტრაციას წინ უძღოდა მაისობანი ქალაქგარეთ 1899 და 1900 წლებში, ღრმაღელესა და მლაშეების რაიონებში, სადაც დიდი სტალინი, მისი თანამებრძოლები მუშებს მოუწოდებდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლისაკენ. 1901 წელს მოწინავე მუშათა ასეულები ათასეულებად გადაიქცნენ და აზვირთდა დემონსტრაციის მძლავრი ტალღა თბილისის ქუჩებში.

მუშათა სოლიდარობის ძალა

ლენინის ქუჩაზე, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ეზოში, უკავილთა შორის აღმართულია მარმარილოს ობელისკი. 900-იან წლებში აქ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა იყო. ქალაქის მცხოვრებნი, წვრილი ხელოსნები, კაპიტალიზმის განვითარების შედეგად პროლეტარები გახდნენ და ბოზარჯიანცს მიჰყიდეს თავიანთი სამუშაო ძალა. მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში მყოფი მუშები ჯერ კიდევ 1896 წელს აწყობენ აქ სტიქიურ გაფიცვას, რაც დამარცხებით დამთავრდა. 1898 წელს ი. ბ. სტალინმა მოაწყო ფაბრიკის მოწინავე მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე. 1900-1901 წლებში მუშათა გაფიცვები, რომლებსაც ი. ბ. სტალინი და მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე ედგნენ სათავეში, გამარჯვებით დაგვირგვინდა. „ეუშველოთ მეთუთუნეებს",—ამბობდნენ სტალინის მიერ გამოზრდილი რკინიგზის მოწინავე მუშები, და [illegible] შეგნებით გათვითცნობიერებულმა მუშებმა ერთსულოვანი გამოსვლით გაფიცვა მოიგეს.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის არსენალი

ლ. პ. ბერიას ინიციატივით ავლაბარში რესტავრირებულია რსდმპ კავკასიის კავშირის ავლაბრის არალეგალური სტამბა, რომელიც 1906 წელს მეფის მთავრობამ სპეციალურად გამოწვეული ჯარის ნაწილების საშუალებით დაარბია.

ავლაბრის სტამბა 1903-1906 წლებში დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით ემსახურებოდა ლენინ-სტალინის დიად საქმეს. ის იყო ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის არსენალი ამიერკავკასიაში. რუსეთის პირველი რევოლუციის ყველაზე გადამწყვეტ მომენტში აქ იბეჭდებოდა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის შრომები, მოწოდებები, ბოლშევიკური გაზეთები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. ყველასათვის ცნობილია, რა დიდად დახელოვნებული იყვნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკები რევოლუციური ლიტერატურის გამოშვებაში. „სტალინი იყო ორგანიზატორი და ინიციატორი თითქმის ყველა ბოლშევიკური გამოცემისა კავკასიაში. არალეგალური წიგნების, გაზეთების, ბროშურების, პროკლამაციების გამოცემას მან მისცა მეფის რუსეთის პირობებში უმაგალითო გაქანება. კავკასიის კავშირის შესანიშნავი გაბედული წამოწყება და ბოლშევიკური არალეგალური ტექნიკის თვალსაჩინო ნიმუში იყო ავლაბრის ფარული სტამბა". (ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია).

* * *

საქართველოს დედაქალაქის—ჭაღარა, მაგრამ მუდამ მხნე თბილისის ყოველი კუთხე, ყოველი ადგილი მოწმეა იმ დიდი მუშაობისა, რასაც გენიალური სტალინი ეწეოდა აქ რუსეთის პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე. აი თუნდაც პლეხანოვის პროსპექტზე მიხო ჩოდრიშვილის ყოფილი სახელოსნო, თამბაქოს ფაბრიკა სადგურის ქუჩაზე, კარაპეტიანის ხიდის მკეთებელი ქარხანა, ფოთის ქუჩაზე მუშა სანდრო მერაბიშვილის ბინა, დავითის მთაზე ახლანდელი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის პლატო, სადაც 1901-05 წლებში მუშათა ხალხმრავალ კრებებზე არა ერთხელ გამოსულა მგზნებარე სიტყვით ამხანაგი სტალინი. თბილისის ვაჟთა გიმნაზიის შენობის წინ 1905 წლის თებერვალსა და ოქტომბრის დღეებში დიდი სტალინი მრავალათას დემონსტრანტებს მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

და კიდევ რამდენია თბილისში ისტორიული ადგილი, რომელიც დაკავშირებულია დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან.

და არა მარტო თბილისში

ბაქოსა და თბილისის შემდეგ კავკასიის მსხვილი სამრეწველო ქალაქი ბათუმი „1900-1901 წლებში... თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გავლენის გარეშე იყო დარჩენილი", — სწერს ამხანაგი ლ. პ. ბერია. ბათუმის 11 ათასამდე მუშათა არმია გმინავდა კაპიტალისტების უღელქვეშ. თბილისის კომიტეტის დავალებით 1901 წლის ნოემბრის დამლევს სტალინი ჩადის ბათუმში და ნავთის გადამამუშავებელ ქარხნებში აყალიბებს სოციალ-დემოკრატიულ წრეებს. მას შემდეგ, რაც ი. ბ. სტალინი ბათუმში ჩავიდა, სავსებით იცვალა სახე ქალაქმა, ჟანდარმერიაც კი გრძნობდა მუშათა უჩვეულო გამოცოცხლებას, პოლიცმეისტერი საიდუმლო მოხსენებებს სწერდა,—ბათუმის მუშებს აქტიურობა ეტყობათო.

მუშები წელში გასწორდნენ და ბრძოლის წყურვილით აენთნენ. მათ მხურვალედ შეუყვარდათ ნიჭიერი და მომზადებული ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილი. ახალი სახელი დაარქვეს სტალინს ბათუმის მუშებმა. ისინი „მოძღვარს" უწოდებდნენ მას. ამხანაგ სტალინის მეთაურობით **„1901 წლის 31 დეკემბერს მთავარ საწარმოთა წრეების წარმომადგენელთა კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია"** (ლ. ბერია).

1902 წლის იანვრიდან დაიწყო მუშათა წრეებში ინტენსიური მუშაობა. მუშათა საუკეთესო ნაწილი სტალინის გარშემო დაირაზმა. 1902 წლის იანვარ-თებერვალში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოეწყო მანთაშევის ქარხნის მუშათა გრანდიოზული გაფიცვა. თებერვლის დამლევს გაიფიცნენ როტშილდის ქარხნის მუშები. ამ პერიოდში სტალინმა მოაწყო არალეგალური სტამბა. 1902 წლის 8-9 მარტს ჩატარდა ბათუმის ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრანტები პირისპირ შეებნენ მეფის მთავრობის შეიარაღებულ ძალას. უთანასწორო ბრძოლაში რამდენიმე მუშა დაეცა. „ბათუმის დემონსტრაციამ აამოძრავა ამიერკავკასიის მუშები და გლეხთა მასები" („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 41). ბათუმის მუშათა დემონსტრაციას წინ მიუძღოდა დიდი სტალინი.

იქ, სადაც ეს სახელოვანი დემონსტრაცია გაიმართა, ახლა აღმართულია ობელისკი. ყოფილ მანთაშევისა და როტშილდის ქარხნებთან მემორიალური დაფებია.

ქუთაისში

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აქ ჩამოყალიბდა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც წარმართავდა დასავლეთ საქართველოში რევოლუციურ მოძრაობას.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით აღდგენილია წულუკიძის სახლი. იქ ამჟამად მუზეუმია, რომელიც ასახავს წულუკიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, აგრეთვე ქუთაისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობას. ქუთაისის ცენტრი (ვ. წ. ბაღის მიდამო) 1904-05 წ. ბოლშევიკების შესახვედრ ადგილს წარმოადგენდა. მაშინ იმდენად ძლიერი იყო ბოლშევიკური ორგანიზაცია ქუთაისში, რომ პარტიული მუშაკები ქალაქში აშკარად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ხშირად ყოფილა ამ ბაღთან ი. ბ. სტალინი. ბოლშევიკი მუშაკებით გარშემორტყმული, ესაუბრებოდა მათ ჩვენი პარტიის ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზე.

ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკების ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის გამოსვლას მენშევიკების წინააღმდეგ ხონსა და კუხში. კუხის სკოლის შენობაში ამხანაგმა სტალინმა მენშევიკებთან დისკუსიაში ბრწყინვალედ დაიცვა ლენინის შრომა „რა ვაკეთოთ?" და გაანადგურა მენშევიკები. დისკუსიაზე ერთხმად იქნა მიღებული ბოლშევიკური რეზოლუცია.

მაღაროელებთან

დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ჭიათურის ბოლშევიკური კომიტეტი. შიმშიაველი ადგილია ჭიათურაში ის დიდი მინდორი, სადაც 1905 წლის ივლისში ი. ბ. სტალინი მუშათა რამდენიმე ათასიან მიტინგზე მოხსენებით გამოვიდა ბოლშევიზმის დასაცავად და გაანადგურა თბილისიდან და ქუთაისიდან სპეციალურად ჩამოსული მენშევიკები, ესერები და სხვა ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები. როგორც „პროლეტარიატის ბრძოლა" სწერს, „ორი ვაგონით ჩამოსული სხვადასხვა ისტები". მიტინგმა ერთხმად მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია და დაჰგმო სხვა პარტიები. ახლა ამ ადგილას აღმართულია მონუმენტალური ობელისკი.

* * *

1904-05 წლებში ი. ბ. სტალინი ჩადიოდა ფოთში. იქ მან ამხილა მენშევიკები და ჩამოაყალიბა ბოლშევიკური ორგანიზაციები.

1905 წლის ზაფხულში გურიის ბოლშევიკების მიწვევით ამხანაგმა სტალინმა შემოიარა სოფლები ჩოხატაური, თარგამე, ხიდისთავი და სხვ., სადაც ოპორტუნიზმისა და რევოლუციისათვის ღალატში მენშევიკების მხილების შედეგად გურიის მშრომელთა საუკეთესო ნაწილი ბოლშევიკების ირგვლივ დაირაზმა.

და რამდენია კიდევ ისტორიული ადგილები საქართველოში, სადაც რევოლუციის ჩაუქრობელ ცეცხლს ანთებდა კაცობრიობის უდიდესი ადამიანი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

მისი დიდი სახელი—სტალინი ოქროს ასოებით აწერია მთელს ჩვენს ბრძოლასა და გამარჯვებას, სიხარულსა და ბედნიერებას!

ლ. ხტურუა
ბ. თათარიშვილი

საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს. მხატვარი უ. ჯაფარიძე

რატომ ჩამორჩა ორხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა

ქობულეთი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ორხამურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ამხ. ი. ფუტურიძე) ჩაი 512,8 ჰექტარზეა გაშენებული. წელს მეურნეობამ სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 500 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს სერიოზული დავალება მოითხოვდა ჩაის კრეფის პირველი დღეებიდანვე დაძაბულ მუშაობას, ადგილობრივი რესურსებისა და ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებას, მაგრამ ამას ვერ ვხედავთ. მაისისა და ივნისის გეგმა მეურნეობამ ვერ შეასრულა.

აქ ვისაც უნდა ჰკითხოთ, ჩამორჩენის მიზეზად კლიმატურ პირობებს და მუშახელის სიმცირეს დაგისახელებენ. სინამდვილეში კი ჩამორჩენის მიზეზი სულ სხვაა. შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ ჩაის პლანტაციების დამუშავებისადმი. 200 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ჩატარებული არ არის პირველი თოხნა. პლანტაციები ბევრგან ეკალ-ბარდით არის დაფარული. ეს გავლენას ახდენს ჩაის ბუჩქის ზრდა-განვითარებაზე და, მაშასადამე, გეგმის შესრულებაზეც.

საბჭოთა მეურნეობამ მაისში ჩაის კრეფის გეგმა 14,5 პროცენტით შეასრულა. უნდა გვეფიქრა, რომ ივნისში მაინც გააძლიერებდნენ მუშაობის ტემპებს, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ივნისში გეგმით მოცემული 171 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 132 ტონა, გეგმის 77,2 პროცენტი. მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან 12,037 კილოგრამი მეორე ხარისხისაა.

ჩამორჩენას, როგორც აღვნიშნეთ, მუშახელის სიმცირით ხსნიან. მივმართოთ ფაქტებს. 15 ივნისს მეურნეობაში ჩაის კრეფაზე 546 კაცი მუშაობდა. ამ დღეს მოიკრიფა 5,060 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. 25 ივნისს ამდენივე მკრეფავმა 3,610 კილოგრამი მოკრიფა, 27 ივნისს 536 მკრეფავმა 2,768 კილოგრამი, ხოლო 28 ივნისს 569 მკრეფავმა 7,704 კილოგრამი. ამის შემდეგ რა აქვთ სათქმელი მეურნეობის ხელმძღვანელებს? ეს ხომ შრომის მოუწესრიგებლობას მოწმობს?

ცხადია, თვის დასაწყისიდან რომ საჭირო ტემპები აეღოთ, მათ „იერიშობანა" არ დასჭირდებოდათ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ არსებული შესაძლებლობანი თავიდანვე მაქსიმალურად არ გამოიყენეს.

პირველმა აგრორაიონმა ივნისის გეგმა 68,8 პროცენტით შეასრულა. აქ ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ ჩაის განუწყვეტელი კრეფა ვერ დანერგეს და ყოველდღიურად არ ამოწმებენ პლანტაციებს. აგრორაიონის ხელმძღვანელმა ამხ. შავიშვილმა არ იცის მეორე დღეს რომელ უბანზე გაიყვანოს მუშახელი ჩაის ფოთლის საკრეფად. საკრეფ ჩაის ფოთოლს სამუშაო დღის დასაწყისში ეძებენ. ეს იწვევს სამუშაო დროის დაკარგვას. გარდა ამისა იწვევს აგრეთვე სასწორების სიმცირე და სადილის ხშირად დაგვიანებით მიწოდება.

ივლისში საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა უნდა მოკრიფოს 174 ტონა ჩაის ფოთოლი. თვის პირველი დღეებიდანვე აღებული არ არის კრეფის მაღალი ტემპები. მაგალითად, 1 ივლისს დასვენება მოაწყეს, 2 ივლისს მოიკრიფა 507 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 3 ივლისს—1,991 კილოგრამი, აქედან 840 კილოგრამი მეორე ხარისხისა. 4 და 5 ივლისს არ მოუკრეფიათ არცერთი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

— შეიძლება ვერც ივლისში შევასრულოთ გეგმა, მაგრამ აგვისტოში 4 თვის გეგმა შესრულებული იქნებაო, — ასე უდარდელად აცხადებენ მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები. ასეთი გულდამშვიდება, უდარდელობა მავნეა საქმისათვის. სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა მეურნეობის ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი.

საბჭოთა მეურნეობაში არიან სტახანოველები, რომლებიც გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, ამხ. ე. პლახოტნიკოვა, ტ. გრიდინა, ა. შინკოვა დღიურად ხუთ ნორმას აჭარბებენ. მაგრამ ერთეულები ხომ ვერ შეასრულებენ მთელ გეგმას. მეურნეობის პარტიული და სამეურნეო მუშაკები მოვალენი არიან ფართოდ დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება.

ორხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ყველა პირობა აქვს უახლოეს დროში აღმოფხვრას ჩაის კრეფაში არსებული ნაკლოვანებანი, შეასრულოს ივლისის გეგმა. მხოლოდ საჭიროა ამ პირობათა უნარიანად გამოყენება.

ვ. ანთაძე

მოსავალი ერთიორად მეტია

უხვ მოსავალს იღებენ წელს თბილისის რაიონის კოლმეურნეობები. რაიონში საშუალოდ თითქმის ერთიორად მეტი მოსავალია, ვიდრე შარშან იყო. პურეულის შემოსვლას მომზადებული შეხვდა მთელი რიგი კოლმეურნეობები. დროულად შეკეთდა 25 კომბაინი და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ყველა კომბაინერს მიეცა მოსავლის აღების დავალება, მათ მიამაგრეს ნაკვეთები.

1 ივლისიდან მოსავლის აღება გაჩაღდა. 15 ივლისამდე გაწეული მუშაობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ რაიონში მოსავლის აღება კარგად დაიწყო. 8,565 ჰექტარიდან აღებული [illegible]

[illegible]

ჰექტარი აიღო. თუ ამჟამადაც წარმატებით მუშაობს. № 6 კომბაინზე მომუშავე კომბაინერმა ამხ. შიპიხინმა უკვე აიღო 170 ჰექტარი, გეგმა კი 140 ჰექტარს ითვალისწინებდა.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჩამორჩენაც არის. რით გაიმართლებენ თავს სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და სასოფლო საბჭო, როცა აქ მოსავლის აღების დამთავრების კალენდარული ვადა უკვე გავიდა, 152 ჰექტარიდან კი მხოლოდ 76 ჰექტარზე აილეს მოსავალი? ვერაფრით. მათ ვერ მიაღწიეს მუშახელის მასობრივად გამოყვანას სამუშაოზე, თვითდამშვიდებას მიეცნენ და მოსავლის აღების საქმე მთლიანად მიანდეს კომბაინერებს.

სოფელ პატარა ლილოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე ნელი ტემპით მკიან პურს, არც თავთავის აკრეფისათვის იწუხებენ თავს. თუ ასე გაგრძელდა, ცხადია, მოსავლიანობაც შემცირდება. ამ შეუწყნარებელი უდარდელობისათვის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა პასუხი უნდა აგონ.

კოლმეურნეობები პურეულის აღებასთან ერთად ლეწვას შეუდგნენ. უკვე გალეწილია 2,147 ჰექტარზე [illegible]

[illegible] ერთად კოლმეურნეობები გაძლიერებით მუშაობენ თივის აღებაზე. რაიონში თივის აღების გეგმა შესრულებულია 54 პროცენტით. თივის აღების გეგმები უკვე შეასრულა სოფელ ლისის ყველა კოლმეურნეობამ. ზემო თელეთის კოლმეურნეობა „იმედმა" 100 ჰექტარი თივა აიღო. ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებულ 350 ჰექტარიდან გათიბა 260 ჰექტარი, ხოლო მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის გადაჭარბებით აიღო თივა 25 ჰექტარზე.

ნ. ჯანჯღავა

უკანასკნელი ცნობები

ამერიკელი მიმომხილველი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის" მიმომხილველი სტივენსი, კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა კავშირის მოთხოვნას მთელი რიგო [illegible] მელიც საზღვაო გზებით დაინტერესებული დიდი სახელმწიფოა შავი ზღვის რაიონში, ისევე არსებითად არის დაინტერესებული [illegible]

[illegible]

დღევანდელი დეპეშები

პეტენის მომავალი გასამართლება

საბრალდებო დასკვნის შინაარსი

ლონდონი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 23 ივლისს იწყება ფილიპ პეტენის გასამართლება. მას წაყენებული აქვს ორმაგი ბრალდება: შეთქმულება სახელმწიფოს შინაგანი უშიშროების წინააღმდეგ და მტერთან კავშირი.

საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა ანდრე მორნემ დაამთავრა საბრალდებო დასკვნის შედგენა, რომელიც პროცესის დასაწყისში გა- [illegible]

[illegible] იმაზე, რომ პიერ ლავალი პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო.

შემდეგ საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ პეტენი „შეურიგდა დამარცხებას და მიიღო დამარცხება", რომ „მან დასცა საფრანგეთის პრესტიჟი, 1941 წელს შეხვდა ჰიტლერს მონტუარში, სადაც, დათანხმდა „დამამცირებელ თანამშრომლობაზე".

[illegible]

პეტენს ბრალად ედება ის, რომ კავშირი ჰქონდა კაგულარების ფაშისტურ საზოგადოებასთან, რომ იგი გულითადად შეხვდა ვიშში ისეთ ადამიანებს, როგორიც იყო პოლიციის ხელმძღვანელი ჟოზეფ დარნანი. ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთ-გერმანიის კომიტეტის ხელმძღვანელ დე ბრინონთან და დათანხმდა [illegible] შესაძლებლობა მიეღწია მოკავშირეთა ან ნეიტრალური ნავსადგურებისათვის; ინსტრუქცია მისცა საფრანგეთის ანტილის კუნძულებისა და კუნძულ მარტინიკის გუბერნატორს ჩაეძირა საფრანგეთის სამხედრო ხომალდები და დაეწვა საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავები.

რეიტერის სააგენტო სლოვენიის სახალხო-განმათავისუფლებელი ფრონტის პირველი კონგრესის შესახებ

ლონდონი, 18 ივლისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იმოწმებს ბელგრადის რადიოს და გადმოგვცემს, რომ სლოვენიის სახალხო-განმათავისუფლებელი ფრონტის პირველ კონგრესზე, რომელიც ლიუბლიანაში გაიხსნა, წამოყენებულ იქნა იუგოსლავიასთან ტრიესტისა და სლოვენიის ზღვისპირეთის შეერთების მოთხოვნა. ბელგრადის რადიო დასძენს, რომ კონგრესს ესწრება 700-მდე დელეგატი, მათ შორის დელეგატები ავსტრიიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ახალი დაპატიმრებანი ტრიესტში

ბელგრადი, 19 ივლისი. (საკდესი). როგორც იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტო ლიუბლიანიდან იუწყება, მოკავშირეთა სამხედრო ხელისუფლებმა ტრიესტში გაათავისუფლეს მათ მიერ ამას წინათ დაპატიმრებული თავმჯდომარე ტრიესტის განმათავისუფლებელი სკუპშჩინისა დოქტორი ჯუზეპე პოგასი და კიდევ რამდენიმე ანტიფაშისტი. ამის შემდეგ მოკავშირეთა სამხედრო ხელისუფლებმა დააპატიმრეს რამდენიმე ათეული ცნობილი ანტიფაშისტი.

ბულგარეთის სახალხო კრების არჩევნების წინ

სოფია, 20 ივლისი. (საკდესი). სახალხო კრების (პარლამენტის) არჩევნებისათვის მზადება მთავრდება. ამომრჩეველთა სიების შედგენა დამთავრებულია. სიებში შეტანილია ყველა შესწორება თვით ამომრჩეველთა განცხადებების შესაბამისად. მთავრდება მომზადება საარჩევნო წიგნაკებისა, რომლებიც უახლოეს დღეებში გადაეცემა ამომრჩევლებს. სწარმოებს საარჩევნო პუნქტებისათვის ბინების შერჩევა. ყველა დასახლებულ პუნქტში იქმნება საარჩევნო კომიტეტები.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით მთელ ბულგარეთში ძლიერდება მოსახლეობის აქტივობა მთავრობისა და სამამულო ფრონტის ღონისძიებათა განსახორციელებლად. სოფლებში გლეხების დასახმარებლად მიდიან მუშათა ბრიგადები.

მდგომარეობა კუნძულ კრეტაზე

ათენი, 19 ივლისი. (საკდესი). კრეტიდან მოსული პირები იუწყებიან, რომ გერმანელებმა, რომლებმაც იქ კაპიტულაცია მოახდინეს, წინასწარ ჩაძირეს ზღვაში მძიმე შეიარაღება და ტრანსპორტი, ქვეითი ჯარის იარაღი კი შეინარჩუნეს. რამდენიმე დღის წინათ გერმანელმა ჯარისკაცმა ბერძენი ანდრულაკისი მოჰკლა.

გუშინ პირეოსში მწყობრით გაიარა 500-ზე მეტმა შეიარაღებულმა გერმანელმა, რომლებიც, როგორც სჩანს, კრეტიდან ჩავიდნენ. ამ „პარადმა" მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა პირეის მოსახლეობაზე. დღეს ათენის გაზეთებმა გამოაქვეყნეს კრეტაზე მოქმედი ინგლისელთა ძალების სარდლის პრესტონის განცხადება იმის შესახებ, რომ ანდრულაკისი გერმანელმა გუშაგმა მოჰკლა გერმანელების განლაგებაში. ჩაძირული საჭურველი, პრესტონის სიტყვით, მოძველებული იყო.

უცხოელი კორესპონდენტები საბერძნეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „პმ"-ის ათენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საბერძნეთის კომპარტიის ლიდერმა ზახარიადისმა მას ინტერვიუში განუცხადა: „ამჟამად თავისუფლება საბერძნეთში მხოლოდ შავი რეაქციისათვის არსებობს".

კორესპონდენტი სწერს, რომ დაახლოებით 16 ათასი ბერძენი პატრიოტი საპყრობილეშია გამომწყვდეული. საბერძნეთის ახლანდელი მთავრობა მასების წარმომადგენელი არ არის და ცდილობს ტერორისტული მეთოდებით გაიძლიეროს თავისი პოზიცია. საბერძნეთში დემოკრატიული ძალების ერთიანობა მიღწეული არ ყოფილა, ვინაიდან ზოგიერთ ლიდერს ეშინია, რომ თუ ხელისუფლების სათავეში პროგრესული მთავრობა ჩადგა, მაშინ ინრრას მიერ საქონლის მოწოდება შეიძლება შეფერხდეს.

ლონდონი, 20 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" ათენელი კორესპონდენტი ბარბერი იუწყება საბერძნეთში არსებული მდგომარეობის შესახებ და მოჰყავს ციტატა პროგრესული პარტიის ლიდერ კაფანდარისის განცხადებიდან. კაფანდარისმა განაცხადა: „საბერძნეთში გაბატონებულია ნამდვილი ტერორი, რომელსაც ნაციონალური გვარდიის რაზმები და მონარქისტი ბანდიტები ახორციელებენ". შემდეგ კაფანდარისმა სთქვა, რომ არსებულ პირობებში პლებისციტი, რის გატარებაც საბერძნეთის მთავრობამ შემოდგომისათვის დანიშნა, იქნება „უბრალო ვანმეორება 1935 წლის მახინჯი პლებისციტისა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მეფე გეორგის დაბრუნება მოუტანა, და ტირანიის, ანარქიისა და დანაშაულობათა პრელუდია გახდება. ვლაპარაკობ რა ჩემი პარტიის სახელით, დასძინა კაფანდარისმა, მე ვაცხადებ, რომ ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ დემოკრატიის ასეთ პაროდიაში".

მოჰყავს რა კაფანდარისის ეს განცხადება, კორესპონდენტი სწერს: „ფიქრობენ, რომ სხვა ლიბერალურ-დემოკრატიული დაჯგუფებანი მიბაძავენ კაფანდარისის მაგალითს და თავს შეიკავებენ არჩევნებში მონაწილეობისაგან".

ბელგიის სენატმა მიიღო ვან აკერის კანონპროექტი

ბრიუსელი, 20 ივლისი. (საკდესი). დეპუტატთა პალატის შემდეგ გუშინ ბელგიის სენატმა მიიღო პრემიერ-მინისტრ ვან აკერის მიერ წამოყენებული კანონპროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია შესრულება კონსტიტუციის 82-ე მუხლისა იმის შესახებ, რომ მეფეს შეუძლია კვლავ ავიდეს ტახტზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ საკითხზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება ორივე პალატის საერთო სხდომაზე. კანონპროექტი მიღებულია 77 ხმით 58-ის წინააღმდეგ, ხუთმა თავი შეიკავა.

ქ. ფოთი. სურათზე: კოლხიდმშენის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი.
ფოტო ვ. ლუცენკოსი

მუნის (მღიერის) მკურნალობა ანდუზის ნახარშით

მედიცინაში დღემდე ცნობილია მუნის (მღიერის) მკურნალობის მრავალი ხერხი, სახელდობრ, ვილკინსონის, ბაჟენის, დიაკოვის, დემიანოვიჩის პრეპარატები.

ჩვენ არ შევუდგებით ყველა ამ საშუალების ეფექტიანობის განხილვას. ავიღოთ ყველაზე უფრო ცნობილი და პოპულარული პრეპარატი—ვილკინსონის მალამო. როგორ ხდება მისი გამოყენება? ამ მალამოთი ავადმყოფმა უნდა დაიზილოს მთელი სხეული გარდა სახისა, ზედიზედ ოთხი დღის განმავლობაში—დღეში ორჯერ—დილასა და საღამოს. შემდეგ დაისვენოს სამი დღე და მერვე დღეს იბანოს, გამოიცვალოს თეთრეული და გასწმინდოს ყველა ის ნივთი, რომელსაც მკურნალობის პროცესში ხმარობდა, ან შეხებია. როგორც ვხედავთ, ეს მეტად რთული მანიპულაციაა, გარდა ამისა, თვით მალამოს ძალიან არასასიამოვნო და შემაწუხებელი სუნი აქვს. არც მეორე—პროფესორ დემიანოვიჩის პრეპარატის გამოყენებაა ადვილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთ-ერთი რადიკალური საშუალებაა მუნის წინააღმდეგ. დემიანოვიჩის პრეპარატი ტიოსულფატისა და მარილმჟავას ხსნარებისაგან შესდგება. დაავადებული ტანს იზელს ჯერ ერთი და მერე მეორე ხსნარით. ეს ხსნარები ძლიერ აჭუჭყიანებს საცვლებს და სუნიც ცუდი აქვს. გარდა ამისა, ტიოსულფატსა და მარილმჟავას სხვა უფრო დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. ასე, რომ მისი ამ მხრივ გამოყენება არ არის ხელსაყრელი. მუნის მკურნალობა ყველა ზემოჩამოთვლილი საშუალებებით დიდ დროს მოითხოვს, აცდენს მუშახელს, აფუჭებს თეთრეულს და სხვა.

მუნის მკურნალობის ახალი საშუალების გამოგონებაზე ბევრი მეცნიერი მუშაობს. მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, მედიცინის დოქტორმა ორდენოსანმა პროფესორმა პ. ბუაჩიძემ აღმოაჩინა მუნის მკურნალობის ახალი მეთოდი. ეს არის ანდუზის ნახარში.

ანდუზი ბალახია. იგი მრავლად მოიპოვება ჩვენში—თითქმის ყველგან—საძოვარ ადგილზე. ქართულად ანდუზს რამდენიმე სახელს უძახიან: კოჭხოჯი, ხარისძირა, შხამ- და სხვ.

როგორ ხდება მისი გამოყენება მუნის წინააღმდეგ? ანდუზის ფესვებს თხრიან ძირიდან, ასუფთავებენ, ახმობენ, ჯამხმარ ფესვებს წინასწარ კარგად ვარეცხენ, დაასხამენ წყალს შემდეგი ანგარიშით—1 კილოგრამ ფესვზე 6 ლიტრი წყალი, და ნელ ცეცხლზე ადუღებენ მანამდე, სანამ წყალი სანახევროდ არ დაიდუღებს. წამალი უკვე მზად არის.

გამოყენების დროს ავადმყოფი ნახარშს შეათბობს (ტანისთვის სასიამოვნო ტემპერატურამდე) და შეიზელს მთელს ტანს გარდა სახისა. შეზელვის პროცესი უნდა გრძელდებოდეს 10 წუთს.

ანდუზის ნახარშით მკურნალობის მეთოდი გამოყენებულ იქნა ქალაქის მეორე ვენდისპანსერში, რამაც ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. განკურნების პროცენტი 95-ს აღწევს. ამ მეთოდს იყენებენ ქალაქის პირველ ვენდისპანსერშიც, სადაც იგივე შედეგია მიღებული.

ანდუზის ნახარშით მუნის მკურნალობას, სხვა საშუალებებით მკურნალობასთან შედარებით, ყოველგვარი უპირატესობა აქვს. იგი დაავადებულს დროს სრულიად არართმევს, საჭირო არ არის მისი გადაყვანა ბიულეტენზე, ძალიან იოლი სახმარია, ნახარშის დამზადება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, ჯდება ძალიან იაფი, ნახარშს სუნი არა აქვს, არაფერს აჭუჭყიანებს და, დასასრულ, რაც ყველაფერზე მნიშვნელოვანია, იგი მუნის მკურნალობის რადიკალური საშუალებაა.

საჭიროა ანდუზის ნახარშით მუნის მკურნალობა ფართოდ დაინერგოს პრაქტიკაში.

ექიმი შ. სეხნიაშვილი
თბილისის მეორე ვენდისპანსერის დირექტორი

მეტი ყურადღება კურორტ ცაიშს

ზუგდიდი („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). ზუგდიდიდან 10 კილომეტრის დაშორებით, ცხაკაია-ზუგდიდის გზატკეცილის გაყოლებით მგზავრის ყურადღებას იპყრობს ბაღნარით დამშვენებული სასოფლო ცენტრი, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანს ურთის მთის კალთებზე და მდინარე ჯუმის ხეობაში განლაგებული სოფელი ცაიში.

ცაიშში ყოველწლიურად 2-3 ათასი კაცი მოდის სამკურნალოდ. აქაური მინერალური წყლების აბანო რევმატიზმით, ჰაჯის, ლიძლისა და ნერვების ავადმყოფობით დაავადებულთა სამკურნალოდ საუკეთესო საშუალებაა.

მშრომელებმა კარგად იციან ცაიშის აბანოსა და ურთის მთის კალთებზე მშვენიერი დასასვენებელი ადგილების მნიშვნელობა. ზაფხულობით თქვენ შეხვდებით არა მარტო მახლობელი რაიონებიდან, არამედ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულებს. მოდიან ავადმყოფები თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაიონის საბჭოს აღმასკომმა წელს აბანოს კეთილმოწყობად 20,000 მანეთი გადასდო. კეთილმოწყობის სამუშაოებს ხელმძღვანელობს ცაიშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ცხადია. დამზადებულ იქნა შემა, მოწესრიგდა წყლის მიწოდება და სხვ.

კურორტთა სამმართველო ნაკლებად იცნობს ცაიშს, თორემ მას მეტ ყურადღებას მიაქცევდა.

ვ. მესხია

ელდარის საბჭოთა მეურნეობამ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში

მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობამ გაიმარჯვა მაისში კომბაინების დროულად და ხარისხობრივად შეკეთებისათვის გაჩაღებულ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას მიენიჭა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ლექცია

21 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში შესდგება დოცენტ ს. ლარცულიანის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „ისტორიული მნიშვნელობა ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნისა — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

კინოებში

21 ივლისს: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და კომკავშირელი (საზაფხულო და ზამთრის) — „ჩარლეის დეიდა". დამკვრელი (საზაფხულო და ზამთრის) — „ივანე ნიკულინი — რუსი მეზღვაური". სპარტაკი — „მეღორე ქალი და მწყემსი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
(მთაწმინდა)
21 ივლისს **სეირნობა**
თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების ფონდისათვის
ესტრადაზე **კონცერტი** ვასო გოძიაშვილის და სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა მონაწილეობით
კონცერტის დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
22 ივლისს საქართველოს სახალხო პოეტის აკადემიკოსის **გალაკტიონ ტაბიძის** საღამო.
დაწვრილებით აფიშებში. ყოველგვარი ცნობები—ტელეფონით № 3—11—93.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი (ყოფილი მუშტაიდი)
21 ივლისს **ქართული მუსიკის საღამო**
მონაწილეობენ: სახალხო არტისტი გ. ვენაძე, დამსახურებული არტისტები—მ. ნაკაშიძე, მ. უვარელაშვილი, ზ. ხვანიძე, სახელმწიფო ოპერის სოლისტი ს. კუხიანიძე.
საქართველოს ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი დირიჟორი ვახტანგ ბალიაშვილი
პროგრამაშია: ზ. ფალიაშვილი—„დაისი": კიაზოს არია, მაროს არია, „აბესალომ და ეთერი": ლეკური, დუეტი, ვ. დოლიძე — „ქეთო და კოტე": საქოს და სიკოს კუპლეტები, მ. ბალანჩივაძე—„დარეჯან ცბიერი": „ხუმარას კუპლეტები". დ. არაყიშვილი—„შოთა რუსთაველი" — ცეკვები და სხვ.

ცეკავშირის თბილისის კოოპერატიული ტექნიკუმი აცხადებს მოწაფეთა მიღებას საბუხჰალტრო და საქონელმცოდნეობის განყოფილებათა პირველ კურსზე 1945-46 სასწავლო წლისათვის. ტექნიკუმი ამზადებს ბუხჰალტრებს და საქონელმცოდნეებს სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული ორგანიზაციებისათვის.
სწავლის ხანგრძლივობა ორივე განყოფილებაზე 3 წელია. ტექნიკუმში მიიღებიან 14-30 წლის ასაკის მოქალაქენი საშუალო სკოლის 7 კლასდამთავრებულნი. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან 1944-45 წლებში 7 კლასდამთავრებულნი, რომელთაც ყველა ძირითად საგანში აქვთ ნიშანი „5". განცხადება მიიღება 1 სექტემბრამდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. სამი შემოწმებული ფოტოსურათი.
მისაღები გამოცდები იწარმოებს 3-დან 10 სექტემბრამდე შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის კონსტიტუციაში, 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი), 3. ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), 4. რუსულ ენაში (წერა, ზეპირი).
ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და დახურული სასადილოთი. მეცადინეობა დაიწყება 17 სექტემბერს. მისამართი: კალინინის ქ. № 88.
დირექცია

მოქალაქე **ალექსანდრე იაკობის-ძე სოხაძემ**, მცხოვრებმა ხოდოშვილის შესახვევში № 10, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ესმა ზაქარიას-ასულ სოხაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლოში.

უახლოესი მეგობრები შალვა და ოლგა მინდორაშვილები ოჯახით იუწყებიან ლავრენტი სუხიშვილის მეუღლის **ლუდმილას** გარდაცვალებას.

შვილები ნინო ყარაშვილი, ელენე კორკოტაძე, დარო ჰანტურია, ნადია ჯიოშვილი ოჯახებით იუწყებიან **მარიამ მელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/VII, გამოსვენება 22/VII, 5 ს. ახალციხის შესახვევი, 14.

მეუღლე მერა, შვილები ლენა და ბიჭიკო, დედა თამარი იუწყებიან **ვიქტორ ვლადიმერის-ძე ციხისთავის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21/VII, 6 ს. მსროლელთა, 3.

მამიდები ნინო, ლალა, პაშა, ბიძა კოკო ამამუკელი ოჯახობით იუწყებიან, რომ 22/VII, 7 ს. დანიშნულია **თეიმურაზ ამამუკელის** პანაშვიდი.

შვილები დავითი, გაბო, კესო, რძალი იულია, სიძე სიმონი შვილებით იუწყებიან რომ 22/VII, 5 ს. ქუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ტურფა იოსების-ასულ ჯობაძის** პანაშვიდი.

კალინიკა ივანეს-ასული ტოგონიძე შვილებით, სიძეებით, რძლებით და შვილიშვილებით იუწყება **ეკატერინე მაქსიმეს-ასულ ტოგონიძე-წიგნაძის** გარდაცვალებას.

[illegible] რედაქტორის მოადგილის—3.68.08, პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3.81.84 [illegible] მრეწველობისა და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, სამხედრო, ლიტერატურისა—3.80.84, მორიგისა და კამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

[illegible] ლენინის ქ. № 23. ტირაჟი 91,800 უЭ 07818